1866—1881

24 იანვარი, შაბათი. № 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გა-რეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] მოჰყვრილით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

„დროება“-„ივერიის“

## ალბომი

ამ 1881 წლის განმავლობაში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია თავის წლიურ (მთელი წლის) ხელის-მომწერლებს უფასოდ დაურიგებს მხატვრობის ალბომს, რომელსაც უსასყიდლოდ გვიხატავს ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი მხატვარი ალექსანდრე ბერიძე.

მხატვრობა და ტექსტი ალბომისა დაბეჭდილი იქნება იტალიაში თვითონ ბერიძის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით.

ალბომში იქნება შემდეგი სურათები:

1. თამარ-დედოფალი, 2. ერეკლე მეფე, 3. შოთა რუსთაველი, 4. ალექსანდრე ჭავჭავაძე, 5. მარი ბროსსე, 6. ორი სურათი „ვეფხვის-ტყაოსნიდამ“, 7. მცხეთის მონასტერი, 8. გელათის მონასტერი, 9. უფლის-ციხის ნანგრევები, 10. პეიზაჟები, 11. ჩვენი ხალხის ტიპები და სხვ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 21 იანვარს. საზოგადოებათა პალატის თავს-მჯდომარემ (სპიკერმა) გამოაცხადა, რომ დღეს ის ვერ მისცემ პალატს უფლებას ირლანდიის საქმეების თაობაზე ბაასი იქონიოს, ამ განცხადებამ მალიან აადელვა პალატა. ამის შემდეგ პალატამ მიიღო ფორსტერის წინადადება (ირლანდიის შესახებ) და იწყო ამ წინადადების პირველად კითხვა; ამ დროს ირლანდიის გამრიელლებმა (ავტონომისტებმა, ირლანდიის ინგლისიდამ განცალკევების მომხრეებმა) მიატოვეს სხდომა და გამოვიდნენ პალატიდამ. გლადსტონმა განაცხადა, რომ ხვალ შემოიტანს პალატაში წინადებას ბაასის გაშიანურების შესახებ და მოითხოვს, რომ ეს წინადადება დაუყონებლივ განიხილოს პალატამ.

**პეტერბურგი**, 21 იანვარს. გაზ. „გოლოსს“ სწერენ ხარკოვიდამ, რომ დ. მ. კავკასიის ნამესტნიკი მშვიდობით წაბრძანდა აქედამ პეტერბურღში.

## პეტერბურღის ბირჟა, 22 იანვარს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 95 | 37 |
| მეორესი | 93 | 37 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. | 92 | „ |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 91 | 87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 83 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |
| **შინაგანის 5% სესხი ბილეთები:** | **მან.** | **კაპ.** |
| პირველი სესხის | 221 | „ |
| მეორე სესხის | 220 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 25 | 12 | პენსი |
| ჰამბურღი | 214 | „ | ცენტი |
| პარიჟი | 266 | „ | სანტიმი |
| ვენა | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

## ქართული ენა სას. სემინარიაში

მკითხველს ეხსომება, რომ 1876 წელს „დროების“ ნომრებში დაიბეჭდა რამოდენიმე სტატია ჩვენს სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლის ცუდათ მსვლელობაზე. იქ ცხადათ იყო ნაჩვენები: ა) ის უვარგო, ურიგო, არა-პედაგოგიური, უწესო წესი, რომელზედაც არის იქ დამყარებული ქართული ენის სწავლა, და რომელსაც, თითქმის, შეუძლია დაჰხშოს, მოჰკვეთოს მოწაფეთ ლტოლვილება თავის ენისადმი და მისი შეძულება, ბ) ქართული ენის მასწავლებლის ბ. ტატიშვილის უმეცრება.

რაღა უნდა იყოს უუმთავრესი სენი ჩვენი სემინარიისა, თუ არა ის, რომელიც უთხრის მას საძირკველს და უფარავს თავის ღირსებებს და რომელიც გახლავთ იმ წმინდა საქმის უარყოფა, როგორიცაა სამშობლო ენის სწავლა, მაშინ, როცა პირველი ადგილი იქ მაგას უნდა ეჭიროს.

სამწუხაროა, რომ აქსიომებსაც დამტკიცება ეჭირვება ამ ჩვენს საქართველოში. რა დიდი გაგება უნდა იმას, თქვენი ჭირიმე, ან, როგორ ვიფიქრო, ვინ უნდა სთქვას წინააღმდეგი, რომ მღვდელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, რომელზედაც სამწყსო ლაპარაკობს! მღვდელია ხალხის ლამპარი, ის არის ის ძალა, რომელიც ხალხს ჭკუით ჰხსნის, ზნეობით ამაღლებს, ჰკვეთავს ცრუ ჰაზრებს, ცრუ-მორწმუნებას, ცუდ-კაცობას, ავაზაკობას და სხვ.; ავრცელებს ქრისტიანულ დიდ-ზნეობით კა-

«დროების» ფელტონი, 24 იანვარს.

## გაზაფხულზედ

მოთხრობა.

(ნათარგმნი ფრანციზულიდამ.)

გაზაფხულის პირზედ, როდესაც ზამთრის სუსხისაგან მიძინებული ბუნება და დედა-მიწა ხელ-ახლად იღვიძებს და იმოსება მწვანით, როდესაც სურნელებით შეზავებული გამთბარი ჰაერი ალერსით შეუთამაშებს დახარბებულს კაცის ყნოსვას, მაშინ კაცის გულში რაღაც მანქანებით იბადებიან უცნაურნი სურვილნი დაუსრულებელის მხიარულებისა და თავდაუჭერელის ნავარდობისა; გაუგებარის გრძნობით გატაცებული კაცი მიისწრაფის მაშინ გაცხოველებულის ტყე-მინდვრებისაკენ, რომ იქ სრულის გულით დაეწაფოს გაზაფხულის ქორფა მშვენიერებას.

ზავლილმა საშინელ სუსხიანმა ზამთარმა ერთი-ორად უფრო მოგვაწყურა ეს გაზაფხულის სიმშვენიერე.

ერთს მაისის დილას გავიღვიძე და დავინახე ჩემის ფანჯრიდამ ლურჯი ცა, ზეწარივით გადაფაროდე მახლობელ სახლების სახურავებს და ამომავალ მზეს ალის-ფრად შეეღება. ფანჯარასთან დაკიდებულს გალიაში ტოროლებს გაჰქონდათ მალხინებელი ჭიკჭიკი; მხიარული ხმაურობა შემოისმოდა ქუჩიდამ. ბუნება თითქმის დღესასწაულობდა.

მოლხენილი გულით გამოვედი ჩემის სახლიდამ; რომ ეკითხათ, ვერ ვიტყოდი კი—რისთვის.

ვისაც შევხვდებოდი, ყველას პირზედ ღიმილი ჰქონდა გამოსახული; გაზაფხულის გამათბუნებელს მუქში დამალული იყო რაღაც გამკურნავი შვება. მთელს პარიჟს თითქმის სიყვარულის ტრფიალება დასტრიალებდა; ახალ-გაზდა ქალებს, რომელნიც დილის ტანისამოსით მიმოვიდოდნენ ქუჩებში, რაღაც მომზიდავი ეშხი ეხატებოდათ თვალებში. მათი გრაციით სავსე მიმოხვრა და სიარული იტაცებდა ჩემს გულს.

მეც არ ვიცოდი—როგორ და რისთვის ბოლოს მივადგე მდინარე სენის ნაპირას. პატარა გემები მიდიოდნენ სიურენისაკენ და მეც მომინდა ტყე-მინდვრების ნახვა.

პატარა ხომალდი სავსე იყო მოგზაურებით, რომელნიც ჩემსავით გამოეწვია სახლებიდამ პირველს გაზაფხულის მზესა.

გვერდით მიჯდა ერთი პატარა ქალი, უთუოთ მკერვალი იქნებოდა. ნამდვილი პარიჟელი ცოცხალი გოგო იყო. მისს პატარა თავს მზის სხივებივით ნაზი თმები ამშვენებდა, რომელიც ნავით შერხეული კეკლუცად ეთამაშებოდა ბროლის ყელს.

ჩემმა გაშტერებულმა ყურებამ მას მოახედვინა ჩემკენ, თავ დაბლა და სახეზედ გამოეხატა მორიდებული წყნარი ღიმილი, რომელიც მისმა აბრაშუმივით თმებმა კეკლუცის სიმშვენიერით დაუმალა ჩემს თვალს.

დინჯი მდინარე თან-და-თან განივრდებოდა. შვების მომცემი მყუდროება ჰსუფევდა ჰაერში. ჩემმა მეზობელმა ქალმა აიხედა მაღლა, და ესლა კი, ჩემი გაშტერებული ცქერის პასუხად, მიძღვნა შეწყნარების ღიმილი. მისს ცელქს თვალებში იხატებოდი ათასი აქამდის ჩემთვის უცნობი ნეტარება.

მომივიდა სურვილი ერთი მოვხვევნოდი მას და მომეტაცნა საითმე, რომ მის ყურში სიყვარულის სიტყვები ჩამეჩურჩულა.

ის იყო მიუახლოვდი და უნდა დამეწყო მუსაიფი, ამ დროს ვილაცამაც დამადო ხელი მხარზედ. გავიხედე და დავინახე ერთი კაცი არც თუ ყმაწვილი და არც ხნიერი, რომელიც სევდიანის თვალით მიყურებდა.

— მე მსურს თქვენ მოგელაპარაკოთ, სთქვა მან.

პასუხის მაგივრად მე უგემურად დავიღმანჯე. მგონია შემატყო უსიამოვნება, ამიტომ რომ მან დაუმატა:

— ძლიერ საჭირო საქმე მაქვს.

ავდექი და გავყევი გემის მეორე ბოლოსაკენ.

— ბატონო, დაიწყო მან, როდესაც გვიახლოვდება ზამთარი თავის სიცივეებით, წვიმებითა და თოვლით, ექიმი გვეუბნება ყოველთვის: „ფეხები თბილად შეინახეთ, უფთრხილდით გაციებას, სურდოს, ხველას, ფილტვის ანთებას. მაშინ ჩვენ ათასგვარს საფრთხილობელსი ვხმარობთ, ვიცვამთ ფლანელს, თბილს ზემოდა ჩასაცმელს, თბილ წინდებს და მაინც კიდე ყოველთვის ავათ ვხდებით და ერთს-ორს თვეს ლოგინიდამ ვერა ვდგებით. მაგრამ როდესაც ჩვენ გვიბრუნდება გაზაფხული თავისი ყვავილებით, თავის თბილის და გამაცხოველის ნიავით, თავის სურნელოვანი მდელოებით, რომელნიც მომ-

ნონებს, რომელთაც აქვთ ერთი საზოგადო საფუძველი: „მაღალი სიყვარული მოყვარისადმი“. რა ნაირად უნდა შეასრულოს ასრულოს თავისი სამღვთო მოვალეობა, როცა მან არ იცის თავისი სამწყსოს ენა.

ნუ თუ ყველა ეს ჩვენს სემინარიის მთავრობას არ ესმის? ან თუ საზოგადოების ჰაზრს სცა პატივი, ჰაზრს, რომელიც იყო გამოხატული „დროების“ სტრიქონებში, და მოახდინა რაიმე—ცოტათი მაინც არის, შესამჩნევი ცვლილება? მართალია, ამაებს არავინ მოელოდა იმ ყველასაგან ცნობილ მესნევის და პუშინსკის დროს; მაგრამ სულ სხვა იყო მათ მერმეთ; სულ სხვა იმედები აღიძრა. ყველა ვფიქრობდით და ძალიანაც ვიმედოვნებდით: „ახალი მთავრობა სემინარიაში სწავლა-განათლებას დააყენებს ახალ გზაზე, ახალ ნიადაგზე ხალხის მოთხოვნილების-და-გვარად, ქართული ენის სწავლას მიეცემა საჩინო ალაგი“ და სხვ. მაგრამ.....მაგრამ ჩვენი იმედის საგნებიც შეუცვლელად დარჩნენ. ქართულ ენას მაინც მიჰქცეოდეს ყურადღება.

ნება მომეცით ორიოდე სიტყვით აგიწეროთ სამშობლო ენის სწავლის მსვლელობა ამ სემინარიაში:

ქართულის ენის სწავლა იწყება მესამე კლასიდგან და ისიც თითო გაკვეთილით კვირაში. ახლა როგორ გგონიათ, რა აქვთ და რა სახელმძღვანელოებია დადებული სემინარიის მთავრობისაგან? იქნება ფიქრობდეთ, რომ კითხულობენ იმ გამოჩენილი ქართულ თხზულებათ, რომლებმაც გააუკვდავეს ავტორები და ჩვენი ენა. სცდებით. ლიტერატურის და გრამმატიკის ხსენება აქ არ არის. დავითნი, სამოციქულო, სახარება და სხვა საღვთო წერილის წიგნები განა მიზნისთვის უმჯობესნი არ არიან „ვეფხვისტყაოსანზე“, „კაცია ადამიანზე“ და სხვ.? „პირველნი ორ-გვარად სჯობიან მეორეთო, ეთქვა ერთხელ მეცნიერ ტატიშვილს: ა) ქართული ენა უფრო კარგათ შეიძლება პირველთაგან შეისწავლოს კაცმა, რადგან ნამდვილ მარტივ ენაზე არიან დაწერილნი; ბ) მათში კაცის ყოველ-გვარ სულის მდგომარეობის გამომხატველ მასალას ჰპოულობ სამშობლო ენაზედ!“

მართალია, ენის მცოდნე, ენერგიული ოსტატი, რაც გინდ უვარგისნი იყვნენ საშუალებანი სახელმძღვანელოები ენის შესწავლისათვის, გაახოველებს სწავლას, ჩაუდგამს, გააინტერესებს და ამით ბევრათ აჯობებს იმას, ვისაც სახელმძღვანელოებიც კარგი აქვს და სხვა საშუალებაც; მაგრამ ბატ. ტატიშვილს ერთი უმთავრესთაგანი აკლია: ენერგია, ან ცოდნა. მაგალითად ავიღოთ თუგინდ ეს სამღვთო წერილის წიგნები: კარგი მასწავლებელი წააკითხვებს მოსწავლეს ერთ წინადადებას, აახსნევინებს მდაბიურათ, ახალ ენაზე, გაარჩევს; გაარჩევს ლოღიკურად არის, თუ გრამატიკულად მთელ ან ცალ-ცალკე სიტყვებს, სხვა-და-სხვა მათ მნიშვნელობას, ძირა და სხვ. და სხვ.

მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ბატ. ტატიშვილი ერთბაშათ მოკლებულია ყველა ამ კარგ ოსტატის თვისებაებს. სახელმძღვანელოების უხეირობა, ენის უცოდინარობა და საქმის მოუნდომლობა უბრკოლებს ტატიშვილს საქმის ხეირიანად წაყვანაში.

ბატ. ტატიშვილი პირ-და-პირ ათარგმნინებს ქართულიდგან რუსულზე; თავისუფლად ათარგმნინებდეს მაინც არის; ის ისე თხოულობს, როგორც რუსულად არის; თხოულობს თითქმის სიტყვა-სიტყვით თარგმნას. ამისათვის მოსწავლენი დაისწავლიან, გაიზეპირებენ ხოლმე რუსულ ტექსტს წინა დღით; კლასში აიღებენ ფორმისთვის ქართულს ხელში და მეხანიკურად კაჭკაჭებენ გუშინ გაზეპირებულს.

გიმნაზიებში, სამასწავლებლო სემინარიაში ქართული ენა ცოტ-ცოტათი იდგამს ფეხს. გახსნილ იქმნენ და იხსნებიან კიდე ქართული ენის საშტატო კათედრები. სემინარიაში კი, სადაც უსაჭიროესია, „შორსო“ გვეუბნებიან.

ნუ თუ ასე უნდა დარჩეს დიდ ხანს მომავალშიაც?! ეს ერთად-ერთი გაკვეთილი მაინც ჰქონდეს აღებული მცოდნე კაცს.

ამის შემდეგ კიდე უნდა უჩიოდეს განა ჩვენი სამღვდელოება კურს-შესრულებულ სემინარიელებს, რომ იშვიათად მიდიანო მღვდლებათ? სემინარიელებმა კარგათ იციან მღვდლის მაღალი მოვალეობა და ამასთანავე ძალიან კარგათ ჰგრძნობენ, რომ ამ მოვალეობის შესრულება მათ არ შეუძლიათ, რადგან ერთი უმთავრეს პირობათაგანი აკლიათ ქართული ენის რიგიანად ცოდნა.

Z.

ქუთაისი 18 იანვარს. O

# ახალი ამბები

ოფიციალურად გამოცხადებულია შემდეგი ტელეგრაფიული ცნობა 18 იანვარს გამოგზავნილი ახალ-თეკეს ლაშქრიდამ:

„დღეს ჩვენმა ჯარმა უბრძოლველად დაიჭირა ქალაქი ასხაბადი. ანნაუსაკენ ცხენოსანი ჯარი გავგზავნეთ.

„ახალ-თეკეს მცხოვრებლები მორჩილებას გვიცხადებენ; ისინი გზავნიან თავიანთ გავლენიან პირებს მორიგებაზე მოსალაპარაკებლად; ამ განზრახვით ამ დღეებში 60 დეპუტატი მოვიდა აქ ქ. ანნაუდგან.“

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ახლად-დაარსებულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ თავის თავსმჯდომარედ ამოირჩია თ. ილ. გრ. ჭავჭავაძე, თავსმჯდომარის ამხანაგად თ. აკ. როს. წერეთელი, ხაზინადრად თ. გ. მ. თუმანიშვილი და სეკრეტრად ბ. პ. დ. უიფიანი.

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ამ დღეებში დამტკიცებული წესდება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და ამ წესდებიდამ გაიგებს მკითხველი, რომ საზოგადოებას დიდი უფლება აქვს მთავრობისაგან მინიჭებული; შეუძლიან ტრუპპა შეადგინოს, გამართოს თეატრის სკოლა, იზრუნოს საკუთარ თეატრის აშენებისათვის და სხვ. და სხვ.

უფლება კი აქვს, მაგრამ ვინატროთ, რომ ეს უფლება კარგათ მოეხმაროს და იმდენი ღონის-ძიება მოეპოვოს, იმდენი ენერგია გამოიჩინოს, რომ კარგათ ესარგებლოს ამ უფლე-

---

ჯადოები სიტურფით აგვიძგერებენ გულს,—მაშინ არავინ არის, რომ გვითხრას: —„ბატონო, უფთხილდით სიყვარულს! იგი ყველგან არის ჩასაფრებული, ყველას კუთხეში გიდგათ დარაჯად, თქვენ გარემოცულნი ხართ მისი მანქანებითა, მისი იარაღი გალესილია!“

უფრთხილდით სიყვარულს! სიყვარული ხველა-სურდოზედაც, ანთებაზედაც უფრო საშიშია! სიყვარული შეუწყნარებელია. ის აქნევინებს ყველას ძნელად მოსანანებელს სიშმაგეს..... დიახ, ბატონო, მე ვამბობ, რომ მმართებლობა ვალდებული უნდა იყოს ქუჩებში აკრას დიდრონ თაბახებზედ დაბეჭდილი განცხადება ამ სიტყვებით: „გაფრთხილებთ დაგვიბრუნდა. მოქალაქენო, უფრთხილდით სიყვარულს“!.. და რადგან მმართებლობა არა შვრება ამას, მე ვიღებ მის მოვალეობას და გეუბნებით: „უფრთხილდით სიყვარულს! იგი დამზადებულია თქვენს დატყვევებას, მე მოვალე ვარ გაგაფრთხილოთ.“

მე გამაოცა ამ უცხო საუბარმა და ვუთხარ ჩემს მოსაუბრეს:

— მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ ისეთ საქმეში ერევით, რომელიც სრულებით არ შეგხებათ!

ამაზე მოთმინებიდამ გამოსულის კილოთი მიპასუხა:

„— ვაი, შენ ჩემო თავო! მაშ როგორა ფიქრობთ, ბატონო, კაცს რომ ვხედავდე წყალში ვარდებოდეს ნუ დავუშლი მას? მოისმინეთ, მოგითხრობთ ჩემს ამბავსა და მაშინ თქვენ გაიგებთ რისთვის გელაპარაკებით ამ სახით:

„— ეს იყო მარშან, სწორეთ ამ დროს. უნდა გითხრათ, რომ მე ვარ ზღვის სამინისტროს მოხელეთაგანი. ჩვენი უფროსები ძალიან თავ-მოწონებულნი არიან თავის ხარისხოვანებითა და ჩინებით. ჩემის კანცელიარიიდამ დავინახე პატარა ლურჯი ცის ნაგლეჯი, სადაც დაჰფრინავდნენ მერცხლები, ამათ დანახვაში მეც მომანდომა დავტრიალებულვიყავ და ერთი მეცეკვა. თავისუფლების სურვილმა იქამდინ გამიტაცა, რომ მივედი ჩემს უფროსთან და თავი მოვიავათმყოფე. ჩემი უფროსი იყო ერთი ბებერი მაიმუნის მსგავსი ადამიანი, სუყოველთვის გაბრაზებული. იმან იჭვიანი თვალით შემომხედა და მითხრა:

„— მე არ მჯერა თქვენი ავათმყოფობა, მაგრამ წადით სადაც გინდათ. თქვენა გგონიათ, რომ თქვენისთანა მოხელეები გამოადგებიან კანცელარიას?

„მეც გამოვედი, დავიწყე სეირნობა და მალე მივაღწიე სენამდინ. მაშინაც დღევანდელსავით მშვენიერი დარი იდგა; ჩავჯექ გემში და გავსწიე სენ-კლუსაკენა.

ახ! ბატონო! ჩემი უფროსი რა სათნო საქმეს იქმოდა, რომ არ დაერთო ჩემთვის ნება კანცელიარიიდამ გამოვსულვიყავ.

ასე მეგონა, რომ მზის შუქმა დამადნო-მეთქი. სუყველაფერი შემიყვარდა: გემი, მდინარე, ხეები, სახლები, ჩემი თანა-მოგზაურები. ისეთს გუნებაზე მოვედი, ისეთი აღტაცებული ვიყავი, რომ მინდოდა ერთი მოვხვეოდი ვისმე ანუ რასმე, სულ ერთია რაც ან ვინც უნდა ყოფილიყო. ეს სიყვარულის საქმე იყო, რომელიც მიგებდა მახეს.

ტროკადეროსთან გემზედ ამოვიდა ერთი ყმაწვილი ქალი პატარა ბოხჩით ხელში და სწორეთ ჩემს პირ-და-პირ დაჯდა.

ლამაზი იყო. მაგრამ საკვირველია, რომ პირველს გამოხაფხულზედ ყველა ქალები უფრო ლამაზები გვეჩვენებიან ვიდრე ნამდვილად არიან; მათში რაღაც განსაკუთრებულსა ვხედავთ, მაშინ იმათ რაღაც ჯადოსნობის ძალა ეძლევათ, თითქო რაღაც თილისმი აქვთო.

მე იმ ქალს ვუყურებდი და ისიც მე მიყურებდა მაგრამ ჩემსავით კი არა: ხან-დისხან მოკრძალებით შემომხედავდა ხოლმე, სწორეთ ისე, როგორც თქვენ წელანდელი ქალი გიყურებდათ. ბოლოს, ამდენი ერთმანერთის ცქერის შემდეგ, მე გავიფიქრე, რომ ჩვენ საკმაოდ გავიცანით ერთმანერთი და შეიძლება ლაპარაკიც დავუწყო-მეთქი. დაველაპარაკე, მანაც პასუხი მომიგო. ეშხისაგან თავ-ბრუ დამესხა.... სენ-კლუში ეს ქალი ჩამოვიდა გემიდამ და მეც გავყევი.

„— მშვენიერება იქნება ეხლა ტყეში!“ ვუთხარი მე.—სასიამოვნო იქნება, რომ ეხლა გავისეირნოთ იქითკენ, თუ თქვენცა გნებავთ? იმან ცოტა იჭოჭმანა, მაგრამ ბოლოს დაჰყვა ჩემს მოწვევას.

ტყე დაყრუებული იყო მოჭიკჭიკე ფრინველების ხმაურობით. ტყისა და მინდვრის მშვენებით გახალისებული, ქალი დაუცხრომელად დარბოდა აქეთ-იქით. მეც იმას დავსდევდ

ბითა და კარგს გზაზე დაეყენებინოს ჩვენი ნორჩი თეატრის საქმე.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 17-ს იქაურ თეატრის მოყვარეთ ბ. ხარაზოვის ზალაში გაუმართავსთ ქართული წარმოდგენა ღარიბ მოსწავლეთა და ერთ ღარიბ ოჯახის სასარგებლოდ. უთამაშნიათ „ძალად ექიმი“—გ. ერისთვის კომედია და „დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი კამბეჩი ვერ დაიჭერს“—თ. რაფიელ ერისთვის ვოდევილი. საზოგადოება კმაყოფილი დარჩენილა ამ წარმოდგენით.

წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენიდამ 195 მან. ყოფილა, რომლიდამაც 65 მანეთი გარდაეცა იმ საზოგადოებას, რომელიც ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნელად არის ქუთაისში დაარსებული, და დანარჩენი კი ხსენებულ ღარიბ ოჯახს.

* * *

ოზურგეთის მაზრიდამ გვაცნობებენ, რომ სოფ. ბახვში გახსნილა „ბახვის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“, რომლის წესდება ამას წინათ დაამტკიცა ფინანსის მინისტრმაო.

* * *

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილი შემდეგი წერილი, რომლის ქართულად გადმობეჭდვას ავტორი ჩვენცა გვთხოვს. ვასრულებთ ამ თხოვნას იმ იმედით, რომ ჩვენი კორრესპონდენტი გასცემს იმას პასუხს.

„უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ქვემო-მოყვანილი ჩემი შენიშვნა:

„ქართულ გაზეთს „დროებაში“, გასული წლის მე-261 ნომერში დაბეჭდილი იყო ბათუმიდამ კორრესპონდენცია შესახებ მაზრის უფროსების და ასის-თავების ბოროტ-მოქმედებისა. დამწერი ხსენებულის კორრესპონდენციისა ამბობს, რომ იმ მილიციონერებისათვის ჯამაგირის დარიგებით, რომელნიც ბათუმის მაზრიდგან გამოიწვიეს, ჯიბეები გაივსეს მაზრის უფროსებმა და ასის-თავებმაო; რომ პირველებმა, ესე იგი მაზრის უფროსებმა ხარბობით ჩაიგდეს თავიანთ ხელში ეს უფლება—ჯამაგირების დარიგება; რომ მილიციონერების სიებში სანახევროთ მკვდრები არიან დანიშნულნი, რომლების ხვედრი ფული მაზრის უფროსების ჯიბეში მიდისო. შემდეგ კორრესპონდენტი ამბობს, რომ ერთმა ამ მაზრის უფროსებთაგანმა გადააჭარბა დანარჩენ თავის ამხანაგებს უფრო ხელოვნურის შემსებით თავის ჯიბისაო.

„ეჭვი არ არის, რომ კორრესპონდენტს მეც ვეყოლებოდი სახეში, როგორც ერთი მაზრის უფროსთაგანი ბათუმის მაზრისა.

„ამისათვის მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს პასუხი მივსცე ამ კორრესპონდენციაზედ და ვსთხოვ ბ. კორრესპოდენტს დამასახელოს მე პირ-და-პირ და მიმითითოს იმ ფაქტებზედ, რომელნიც გამამტყუნებენ ამ ბოროტ-მოქმედებაში.

თუ კორრესპონდენტი არ შეასრულებს ამ ჩემს თხოვნას, მე მექნება უფლება ყველა მისგან ნაამბობი მივილო ცარიელ სიტყვებად.

აჭარის მაზრის უფროსი მაიორი

თ. სამსონ ლორთქიფანიძე.

12 იანვარი, 1881 წ.

სოფ. ქედა.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ბონაპარტისტებმა: ფუკემ, ფანკონნერომ, მიტრჩელმა და ლანგლმა სახალხოთ გამოაცხადეს თავიანთი გადასვლა რესპუბლიკის მხარეზედ.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთის საქმეები ისე არეულ-დარეულია, რომ ხონთქარს აღარ გაეგება რაებს ჩადის. რამოდენიმე ფაშები გადააყენა თანამდებობიდამ; უბრალო შემთხვევებს ისე ეჭვით უყურებს და აზვიადებს, რომ ჰგონია ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ იმის გარდმობრძანება სურთ ტახტიდამაო.

ამ ცოტა ხანში ერთი ხომალდი „ოსმანიე“ გარიყა ზღვაში. ხონთქარს ამაზედ არაფერი არ მოახსენეს. აილო ეჭვი და გადააყენა ფლოტის მინისტრი. ეხლა გადმოვიდა სამხედრო მინისტრზე და იმაზედაც აილო ეჭვი. სამხედრო მინსტრათ დარჩა ოსმან-ფაშა, რომელსაც ინგლისი ძალიან ცუდის თვალით უყურებს და ურჩევია კიდევაც რამოდენჯერმე ხონთქრისთვის, რომ ის სანდო კაცი არ არისო.

მაგრამ ხონთქარი მაინც არ იმორებს ოსმანს და დიდი იმედები აქვს მისი. ოსმან-ფაშა რომ დაუძინებელი მტერია ინგლისისა [illegible] რუსეთისაკენ არის [illegible] ბილია. სწორეთ ამას უნდა მიეწეროს ის ხმები, რომლებიც ეხლა არიან გავრცელებული, რომ ხონთქარს განზრახვა აქვსო რუსეთს შესჩივლოს, თუ დანარ. ევროპის სახელმწიფოებმა იმასა და საბერძნეთ შუა საქმეები მისთვის საზიანოთ გარდასწყვიტესო. ესვე ხმა საბერძნეთშიდაც არის;—ასე რომ ან ერთი უნდა მოხდეს, ან მეორე, ე. ი. კავშირი, ან რუსეთსა და ოსმალეთს შუა და ან რუსეთსა და საბერძნეთს შუა. ოსმალეთი კარგ ოსტატობას ხმარობს: თვითონ საომრად ემზადება და მიზეზათ ის მოჰყავს, რომ საბერძნეთიც მზადებაშიაო.

—

**იტალია.** ერთი ნემეცური გაზეთი „შეუსყიდველი იტალიის“ შესახებ (ეს სახელი ჰქვია იტალიაში შემდგარ საზოგადოებას, რომელსაც აქვს მიზნათ დაიბრუნოს ის მიწები, რომლებიც ავსტრიამ დაინარჩუნა—იტალიისაგან) ამბობს, რომ ამ საზოგადოებას თავისი სურვილი მაშინ შეიძლება შეუსრულდეს, თუ რუსეთსა და ავსტრიას შუა უთანხმობა ჩამოვარდა და თუ იტალიამ გამბეტის ანუ საფრანგეთის თანაგრძნობა დაიმსახურა. ეს უკანასკნელი, რომ მოხდეს, ე. ი. საფრანგეთის თანაგრძნობა ამ საზოგადოებისადმი ამას ჯერ ვერაფრიდამ და ვერავინ ვერ ხედავს: პირველზედ კი ე. ი. რუსეთისა და ავსტრიის შუა უთანხმოების ჩამოგდებაზე, რუსეთი არ დათანხმდება, რადგან ამით ის ლევოლიუციური საზოგადოების სურვილს შეასრულებს,

---

რათ თხებივით დავხტუნავდით, ვცელქობდით.

შემდეგ ქალი მოჰყვა სიმღერებს და მერმე რა სიმღერებს! სუყველა ოპერის ჰანგები იცოდა და ყველაზედ ხშირად ამბობდა სიყვარულის სიმღერებს! რა პოეტიკურად მეჩვენებოდა მაშინ ეს სიმღერები! გული ამომიჯდა და კინაღამ ავტირდი!

ბოლოს ჩემი ქალი მალე დაიღალა და მწვანიანზედ დაჯდა. მეც ფეხთან მოვუჯექ და დაუწყეთ ერთმანერთს თვალებში ცქერა. ოხ, ეს ქალის თვალები! რა ძლიერება აქვსთ მათ ჩვენზედ! როგორ გვაღელვებენ, გვიპყრობენ, გვფლობენ და ხელმწიფობენ ჩვენზედ! რა საიდუმლო აღთქმასა ვხედავთ მათში, რა დაუსრულებელს ნეტარებასა. ამას ეძახიან კაცის გულში ჩახედვას! ოხ, ბატონო, რა შეცდომაა! მართლა რომ ვხედავდეთ რასმე გულში, აღარც ასე გაუგებარნი ვიქმნებოდით.

მაგრამ, სად იყო ჩემში მაშინ ჭკუა და ფიქრი! იმის ყურებამ გამაშმაგა; მინდოდა ჩამეკრა გულში და ჩავკვდომოდი. „ხელები იქით!“ შემომიტია მან. მე დავიჩოქე მის წინ და გადმოუშალე ჩემი გული; თვალცრემლიანმა გამოუცხადე მას რაც მე გულს მიტანჯავდა და რაც მან ჩემში სიყვარული აღძრა. ქალი გაკვირვებით და ცივად მიყურებდა.

სიყვარულში, ბატონო, ჩვენ ყოველთვის უანგარონი ვართ და ქალები ანგარიშით მოქმედობენ.

ეჭვი არ არის, მე შემეძლო დამეყოლა ჩემს ნებას ეს ქალი. შემდეგ მივხვდი ჩემს სისულელეს! მაგრამ მე მასში არ ვეძებდი ხორციელებას; მე იდეალს ვეძებდი; მე მინდოდა გულის თანაგრძნობა...

როდესაც ჩემმა ქალმა საკმაოდ მოისმინა ჩემი გულის აღსარება, წამოდგა ზეზედ და ჩვენ დავბრუნდით სენ-კლუში. პარიჟში მოვშორდით ერთმანეთს. განშორების დროს ჩემს ქალს ისეთი მწუხარების ფერი გადაედო, რომ მე გამოვკითხე მიზეზი მისი დარდისა.

„— მე ვფიქრობ, მიპასუხა მან, რომ ამ ნაირს დღეს ჩვენ ბევრჯერ ვერ ველირსებით ჩვენს სიცოცხლეში...

ამ სიტყვებზედ ისე ამიძგერდა გული, რომ კინაღამ ბუდიდამ გადმომივარდა.

იმდენი ვეცადე, რომ მომავალს კვირას ისევ ვნახე ეს ქალი; აგრეთვე მეორე კვირას, მესამეს; ერთის სიტყვით, კვირა-დღე არ გაივლიდა, რომ არ მენახა. ის დაწყევლილიც იმედებს მიღვიძებდა გულში. ბოლოს ისე დამებნა გონება, რომ სამს თვეს შემდეგ შავირთე ეს ქალი! აბა რას იტყვით, ბატონო, მარტოხელი კაცი ვიყავ, სახლობა არა მყვანდა, მრჩეველი არავინ გამაჩნდა! ვიფიქრე, ცოლს რომ შევირთავ, მიტკბება ცხოვრება-მეთქი! და ამ უაზრო მოსაზრებით შავირთე ეს ქალი.

„— ახლა რა დღეში ჩავვარდი! დილა საღამომდინ ლანძღვა და შეურაცხყოფის მეტი მისგან, არა მესმის-რა; არა იცის-რა, მოჰყვება და აღარ ათავებს წარამარა ყბედობას; თავს მიხეთქავს ამ წყეული სიყვარულის სიმღერით; ეჩხუბება მეწყლესა და მენახშირეს, ჭორიკანაობს მეზობლებში; გადააბრუნებს და გადმოაბრუნებს ჩემის სახლის ამბავს; თავი სავსე აქვს სულელური ჭორებითა; როცა დაველაპარაკები ხოლმე, ისეთ უშვერს ჰაზრებს წამოროშავს, ისეთი საზიზღარი ცრუმორწმუნეობით არის გატენილი, რომ სასოწარკვეთილებისაგან ტირილი მომდის...“

ამ სიტყვებზედ ჩემი მოსაუბრე დაჩუმდა. სიბრალულის თვალით ვუყურებდი მას და მინდოდა რამე მეთქვა, ამ დროს გემი კიდეც დადგა. ჩვენ მივედით სენ-კლუში. პატარა ქალი, რომელმაც მიიზიდა ჩემი გული, წამოდგა და გემიდამ უნდა გადმოსულიყო. ჩემს გვერდით რო გაიარა, ერთი ქურდულათ შემოხედა და გამიცინა. მეც წამოვხტი, რომ გავყოლოდი მას, მაგრამ ჩემმა მეზობელმა წამავლო ხელი სახელში, გამწია იქით და მითხრა:

„— არა, თქვენ არ გაჰყვებით! არ გაჰყვებით!“

ისეთი მაღალი ხმითა სთქვა ეს სიტყვები, რომ ყველამ ჩვენ დაგვიწყეს ყურება. ჩვენ გარეშემო მოისმა თავ-დაჭერილი სიცილი და მეც ისე შემრცხვა, რომ ადგილიდამ ვერ გავიძარ და ვერ გავყევი იმ ქალს.

გემმა გასწია თავის გზაზე. პატარა ქალი, რომელიც გადავიდა გემიდამ, ნაღვლიანის თვალით მიყურებდა, რომ ვშორდებოდი. ჩემი დამრიგებელი კი გახარებულის ხმით მეუბნებოდა ყურში:

„— კარგი სამსახური გაგიწიეთ! თქვენ ჩემი მადლობელი უნდა იყვნეთ, უბედურებისაგან დაგიხსენით!..

რომლის ფიქრი რუსეთს თავის დღეშიაც არ მოსვლია. ამას გარდა რუსეთის ხალხიც მშვიდობიანობის მოსურნეა. მაგრამ ყველა ამაების დაუხედავათ, ავსტრია მაინც ამაგრებს თავის სამზღვრებს ჩრდილოეთით.

---

# განცხადებანი

—

მომავალ პარასკევს, 30 იანვარს

თფილისის სახაფხულო თეატრში დანიშნულია

ბენეფისი მომღერალის

## ფ. ქორიძისა

ითამაშებენ რუსულ ოპერას

## ЖИЗНЬ ЗА ЦАРЯ

(3—1)

---

კვირას, 25 იანვარს

თფილისის კლუბის ზალაში იქნება

## ბ ა ლ ი

კავკასიის მხრის ექიმების ქვრივ-ობლების სასარგებლოდ.

ბილეთები ისყიდება შაველდოვის სააგენტოში და თფილისის კლუბის შვეიცართან და ბალის დღეს კლუბის შესავალში.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბები ვალდებულებას არ შეადგენს.

შესვლის ფასი: კაცებისთვის 2 მ. და ქალებისთვის 1 მ.

დასაწყისი 9 საათზედ საღამოთი.

(3—2)

---

## ქუთაისის

ტრანსპორტნი კანტორა ძმათა თუთუნოვებისა, მართველი ივანე პასიკოვი, სთხოვს საზოგადოთ ქუთაისის ღუბერნიის მოვაჭრებსა და ეგრეთვე მქონებელსა

## ბამბისა

ვისაც აქვს გასასყიდი, მობძანდნენ კანტორაში, ბულვარის პირ-და-პირ ივანე ზედგინიძის სახლში საქალაქო ბანკის ქვეშ, სადაც გაურიგდებიან ფასს ანუ პირ-და-პირ მოიტანენ და მაზანდაზედ მიიღებს კანტორა, ნაღდ-ფულზედ. (5—3)

---

ამწლის 7-ს იანვარს ბუნიბის მაედანზე, ბოდფრუას ცირკის გვერდით გავხსენი

**ზალა გიმნასტიკის ვარჯიშობისა,**

სადაც ყველა ხნის კაცებსა და ქალებს შეუძლიანთ გიმნასტიკური ვარჯიშობა დილის 8 საათიდამ საღამოს 10 საათამდინ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან აქვე ზალის კანტორაში, რომელიც შუა დღიდამ 2 საათამდინ ღიაა.

---

აქვე ასწავლიან კანკებით ცურვას და ვარჯიშობას ველოსიპედით; ასწავლიან აგრეთვე ფეხტოვანას. (6—2)

---

მოკლეს დროში, ქართულის დრამატიკულის ხელოვნების მოსიყვარულეთაგან წარმოდგენილ იქნება „მ ე დ ე ი ა“ ისტორიული ტრაღედია, სამს მოქმედებად ნათარგ. ივ. კერესელიძისაგან.

მოქმედება წარმოდგება საბერძნეთში, ქალაქს კორინთაში.

(3—3)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღმ-ყვანი



მაკ-ასა-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—31)

---

ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ერთის თვისგანმავლობაში, 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის—1 გირვ. 5 კ.
მეორის „ — 1 გირ. 4

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გირვ. 6 კ.
მეორის „ — 1 გირ. 4½

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7
მეორის „ „ 1 გირ. 5½
მესამის „ „ 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის— 1 გირ. 10 კ.
მეორის „ — 1 გირ. 8.
სუკი — 1 გირ. 16
ცხვრის ხორცი 1 გირ. 11
ღორის ხორცი — 1 გირ. 12
ღორის ხორცი— 1 გირ. 11 კ.

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| ქადარეთ ხვენი ჩაი—1 მ. 10 კ. | | მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ. | |
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | | — | —3— „ |

---

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—82)

პატენტიანი შხოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარშევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში. (100—82)

---

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად**— წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—7)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. [illegible] სიგარები. (100—11)

---

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—13)

---

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—21)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—11

---

ქ უ თ ა ი ს შ ი.

## „ივანე ნიკოლაძის და შვილების“

მ ო დ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ისყიდება ყველაფერი რაც გინდა სულო და გულო:

მანდილოსნების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინებული მუშეულობა, მშვენიერი საცვალი კაცისა და ქალების გასაოცარ იაფად. წარმოიდგინეთ: პარიჟში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მან. 75 კ. იყიდება! გარდა ამისა საზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც **სიმტკიცე აქვს ნაჭედისა და სილბილე ნაქსოვისა;** ძალიან ბევრი სათამაშოები ბავშვებისათვის და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შებძანდით **„ივანე ნიკოლაძის და შვილების“** მოდის მაღაზიაში და იქ იპოვნით ყველაფერს ძალიან ხელ-მისაცემ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა. (10—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ 23 Января 1881 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი